

არქიტექტურული
ლაბორატორია

არქიტექტურული ნაწილების ექსპერტიზის დასკვნა

+995 593 44 41 41

წყნეთის გზატკეცილი 49

info@arch-laboratory.com

არქიტექტურული ლაბორატორია

ქ. თბილისი 17/03/2022წელი

ქალაქი თბილისი,მარიჯანის ქუჩა, N2 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.14.03.039.007) დაგეგმარებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილებისექსპერტიზის შესახებ

1. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ობიექტის დანიშნულება (კლასი): მრავალფუნქციური (IVკლასი)

ობიექტის მისამართი : თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2

ექსპერტი/არქიტექტორი : მარინე მაისურაძე/ალექსანდრე ხასია

ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

1. საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან- „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილების(„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტისმიხედვით.

2. ექსპერტიზისშესრულებისპროცესშიგამოყენებულიიქნა:

   2.1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის N41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის„შენობა-ნაგებობისუსაფრთხოების წესების“დამტკიცების თაობაზე“;

   2.2. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009წლის 24მარტის№57დადგენილებაში ცვლილებებისშეტანის თაობაზე.

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გამოსასვლელი საშუალებების გამტარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

12) ლიფტების შეფასებას;

13) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები:

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობე ჯგუფი (სწ-2) :

- შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი

  -6.00ნიშ.-3.00ნიშ. +0.00ნიშ. და +3.00 ნიშნულებზე;

  აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

საქმიანი ჯგუფი (სქ) :

- საოფისე ფართები

  +6.00ნიშ. +9.30ნიშ. +12.60 ნიშნულებზე

  აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.

საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) :

- საცხოვრებელი ბინები +15.90 ნიშ. დან +78.60 ნიშნულამდე

ჩათვლით აღნიშნული შეესაბამება 310.4 ქვეთავს.

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით**.** სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის დაქტორზე**,** კერძოდ**:**

1. მიწისქვეშა ავტოსადგომისთვის მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჯების სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;
2. საცხოვრებელი ერთეულებისთვის მიკუთვნებულია საცხოვრებელი სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;
3. ოფისებს და სახანძრო მართვის ოთახი მიკუთვნებულია საქმიანი სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია **N:41** დადგენილების მე**-10** თავის **1004** ქვეთავის და **1004.1.2** ცხრილის მიხედვით **(**დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებლები დამრგვალებული მთელი რიცხვის სიზუსტით**).**
<u>დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით</u>.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება**:**

შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია I-A, რომელიც შერჩეული იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისთვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით</u>.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება**:**

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული I-A ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 81.90 მეტრი, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან (ამ შემთხვევაში მიწის დონიდან) 78.60 მ-ზე, შესაბამისად „წესების“ განმარტების მიხედვით შენობა არის მაღლივი.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს</u>.

4. გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის ყველა სართული აკმაყოფილებს გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების მოთხოვნებს დაკავებულობის დატვირთვის, სართულიანობის და გასასვლელამდე მისადგომი სავალი მანძილების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ვინაიდან შენობა არის მაღლივი გზა-კიბეები 1022.10 ქვეთავის თანახმად უნდა იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცეები, რაც პროექტში გათვალისწინებულია, კერძოდ: კიბის უჯრედებს ყველა სართულზე გააჩნია 909.20 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი ვესტიბიული, რომელიც ნიავდება მექანიკურად;

დერეფნები აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენობიდან გამოსასვლელი არის მიწის დონეზე, რის შემდგომაც საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარიანობების შეფასება:

გასასვლელი საშუალებების გამტარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1 და 1005.3.2 ქვეთავები ქვეთავებში განსაზღვრული ფაქტორი 5.1 მმ.

გზა-კიბეების სიგანე (კედელს და მოაჯირს შორის) აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ თავისუფალ სიგანეს და აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის სიგანე 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მიხედვით დასაშვებ მინიმუმს (1.20მ) აკმაყოფილებს. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რამაც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უნდა უზრუნველყოს მექანიკური განიავება;

გასასვლელი საშუალებების გამტარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

6. მისაწვდომობის შეფასება:

შენობის ყველა სართულს ემსახურება მისაწვდომი ლიფტები, რომლებიც აკმაყოფილებენ 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენობის ყველა სივრცე მისაწვდომია (სართულებზე შ.შ.მ. პირთა გადაადგულება ხდება ლიფტის საშუალებით და ყველა საცხოვრებელ ერთეულში შესაძლებელია ეტლით მოხვედრა);

ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი;

დაცულია 1107.6.1.1 ცხრილის მიხედვით მოთხოვნილი მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების რაოდენობა.

დაცულია აგრეთვე 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი ავტოსადგომების რაოდენობა.

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობია და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება**:**

„ა-მ“, „მ-ა“, და „17-1“, ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედლებს 602 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომგინარე (9 მეტრზე მეტით დაშორებული).ხოლო ,,1-17“ ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედელს მოეთხოვება 1 სთ ცეცხლმედეგობა.

რაც შეეხება მიწისქვეშა სართულს, სადაც ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოა მოწყობილი 601 ცხრილის მიხედვით I-A ტიპის კონსტრუქციისთვის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 3 საათი.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება**:**

601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-A ტიპი) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას გააჩნია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა.

სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება**:**

კონსტრუქციის ტიპიდან (I-A) გამომდინარე შენობის ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს, მზიდ კედლებს გააჩნია 3 საათიანი ცეცხლმედეგობა. ყველა იატაკის კონსტრუქციას გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილშია საათების მიხედვითაა დადგენილი, დაცულია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვინაიდან საპროექტო შენობა მთლიანად არის აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსამხეფი სისტემით, შესაძლებელია დაკავებულობის გამმიჯნავების (როგორც თარაზული ასევე შვეული) ცეცხლმედეგობის ხარისხის შემცირება 1 საათამდე.

913.2.1 ქვეთავის თანახმად სახანძრო ტუმბოების ოთახი ყველა სხვა ფართობისგან უნდა გაიმიჯნოს 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც პროექტში გათვალისწინებულია;

ხანძრის მართვის ცენტრი დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, რაც აკმაყოფილებს 911.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

საპროექტო შენობაში არსებული საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია 420.2 ქვეთავის შესაბამისად ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათია, რაც აკმაყოფილებს 708.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

დერეფნები გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც აკმაყოფილებს 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს. კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 20 წუთიანი და შეესაბამება 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

კიბის უჯრედი დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით სადაც მოწყობილია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის თვითკეტვადი კარები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავის, 909.20.2.1 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

კიბის შესასვლელებთან მოწყობილია ვესტიბიულები, რომლებიც 909.20.2 ქვეპუნქტის შესაბამისად გზა-კიბეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედლებით, ხოლო დერეფნისგან 1 საათიანით.

შენობიდან ვესტიბიულში გასასვლელი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 20 წუთი, რაც აკმაყოფილებს 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

ლიფტის ფოიე დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით სადაც მოწყობილია 45 წუთიანი ცეცხლმედეგი კარები, რაც აკმაყოფილებს 1707.7.2 და 1707.7.3 ქვეთავების მოთხოვნებს;

შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენიშვნა:
1. საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.
2. შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისა და ლიფტის შახტის შემომზღუდავები უნდა შეესაბამებოდეს 403.2.3.1 – 403.2.3.4 ქვეთავებს.
3. მთელ შენობაში გამოყენებული სასხურებელი ცეცხლმედეგი მასალების მოჭიდების სიმტკიცე უნდა შეესაბამებოდეს 403.2.4 ცხრილს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება**:**

ვინაიდან საპროექტო შენობა არის მაღლივი, (403.4 ქვეთავის მოთხოვნით) შენობა მთლიანად უნდა აღიჭურვოს 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით; 903.2.8 ქვეთავის მიხედვით 2023 წლის 1 აპრილამდე სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი მაღლივი შენობის საცხოვრებელ ერთეულებში (ბინებში) ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება აუცილებელი არ არის.

შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემები უნდა მოეწყოს 903.3.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

შენიშვნა: სისტემა უნდა მოეწყოს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა: კიბის უჯრედებში და ვესტიბიულებში, ლიფტის შახტაში და ფოიში, დერეფნებში და მიწისქვეშა აუტოსადგომში (მექანიკური განიავების სახით).

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:
1) 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭიროა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება;
2) 907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით საჭიროა კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;
3) 907.2.13.1.1 ქვეთავის მიხედვით საჭიროა კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია ლიფტის ფოიეში, ლიფტის სამანქანო ოთახში, სახანძრო ტუმბოების ოთახში და კიბის უჯრედებში, კიბის ტამბურში, ტექნიკურ ოთახებში და აგრეთვე 907.2.13.1.2 ქვეთავის მიხედვით საჭიროა არხის კვამლაღმომჩენები;
4) 907.2.13.2 და 403.5.3.1 ქვეთავის მიხედვით საჭიროა სახანძრო განყოფილებასთან კავშირის სისტემა. ასეთი სისტემით 911-ე ქვეთავის შესაბამისი სახანძრო მართვის ცენტრი უნდა უკავშირდებოდეს ლიფტებს, ლიფტების ფოიეებს, საავარიო და სათადარიგო ელექტრომომარაგების აპარატურისათვის განკუთვნილ ოთახებს, სახანძრო ტუმბოების ოთახებს, თავშესაფრის ფართობებსა და შემოზღუდული გასასვლელის გზა-კიბეებს. სახანძრო განყოფილებასთან კავშირის მოწყობილობა უნდა განთავსდეს ყოველი იატაკის დონეზე შემოზღუდული გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში.
5) 907.5.2.2 ქვეთავის მიხედვით საჭიროა საგანგებო ხმოვანი განგაშის სისტემა, რომლის რადიოგამოძახების ზონები მოწყობილია გასასვლელის გზა-კიბეებზე, ლიფტებთან, დერეფნებში და თავშესაფრის ფართობებზე.

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 907 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

შენობაში -3.00 ნიშნულზე გათვალისწინებულია („წესების“ თანახმად ყველა მაღლივ შენობისთვის საჭირო) ხანძრის მართვის ცენტრი, რომლის გაბარიტები აკმაყოფილებს 911.1.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენიშვნა: ხანძრის მართვის ცენტრი უნდა შეესაბამებოდეს NFPA 72-ს და უნდა მოიცავდეს 911.1.5 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ მახასიათებელს.

შენობაში -3.0 ნიშნულზე გათვალისწინებულია სახანძრო ტუმბოს ოთახი;

შენიშვნა: სახანძრო ტუმბოების ოთახი დაცული უნდა იყოს 913.2.1 ქვეთავის შესაბამისად.
ხელის ცეცხლმაქრები გამოყენებულია 906 ქვეთავის შესაბამისად;

საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებელის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

მიწისქვეშა სართულებზე განთავსებულ ავტოსადგომ გარაჟებში ტუალეტების მოწყობის აუცილებლობა 1602.3 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით არ არის;

საცხოვრებელი ერთეულები უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობებით;

სავაჭრო სივრცე უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობებით;
საოფისე და საქმიანი სივრცეები უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობებით;

წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ლიფტების შეფასება:

სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისადგომ ლიფს ყველა სართულზე გააჩნია შემოზღუდული ფოიე 713.14.1 ქვეთავის შესაბამისად.

ლიფტების შახტები უზრუნველყოფილია საჰაეროებით, საიდანაც ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება. (1704.1, 1704.2, 1704.3 ქვეთავების შესაბამისად).

სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისადგომი ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში 60 სმ X 2,15 მ. ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს (1702.4 ქვეთავი).

ლიფტის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

13. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება:

ავტოსადგომის საავტომობილო გზის და პანდუსის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ავტოსადგომის ზომები აკმაყოფილებს 406.9.3.1, 406.9.3.2, 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

ავტოსადგომებისადმი დაკავშირებით მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

არქიტექტურული ლაბორატორია

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელიამომწოდებელიმხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესებისმიხედვით. განუმარტავიტერმინებისაყოველთაოდმიღებულიმნიშვნელობითგამოიყენება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებებისშეტანისთაობაზე.

არქიტექტურული ლაბორატორია

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან) და სახანძრო- სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

   განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;
   ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
   გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
   სახანძრო განგაშის სისტემები;

4. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

არქიტექტურული ლაბორატორია

ექსპერტიზის დასკვნა

ქალაქი თბილისი,მარიჯანის ქუჩა, N2 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.14.03.039.007) დაგეგმარებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის პროექტის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, შეფასება მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, არქიტექტურული პროექტის ნაწილები სრულ შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და ასევე ვადასდურებთ რომ, დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საქართველოში მოქმედი:

1.საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“;

2.საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის შემადგენელ არქიტექტურულ ნაწილებს ეძლევა ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასება პროექტის შემდგომი განვითარებისათვის.

ხელმოწერები:

ექსპერტი/არქიტექტორი : მარინე მაისურაძე

ARCH LAB
ARCHITECTURAL LABORATORY
405289922

C V

პირადი ინფორმაცია

მარინე მაისურაძე



№ 83,სულხანცინცაძის ქუჩა, ქ. თბილისი, 0179,
(+995593)313297;
(marina_maisuradze@ymail.com)
(ალტერნატიულისაკომუნიკაციოსაშუალებები)

სქესი მდედრ. | დაბადებისთარიღი 05 / 09 / 1955 |

განათლება

თარიღი(დან – მდე)	კვალიფიკაცია
2009	არქიტექტურის დოქტორის აკადემიურიხარისხი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2004	დოცენტისსამეცნიერო-პედაგოგიურიწოდება, თბილისის სახელმწიფო სამხატვროაკადემია (საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭო)
1985-1992	ასპირანტურა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი, არქიტექტურული გეგმარების კათედრა;
1977-1982	უმაღლესი, არქიტექტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. (წარჩინებით, სახელობითი სტიპენდიანტი,)

სამუშაო გამოცდილება

თარიღი(დან – მდე)	დამსაქმებელი
2018-დღემდე	არქიტექტურული ლაბორატორია-ექსპერტი(არქიტექტორი)
2011-2017	სსიპ განათლებისხარისხის განვითარებისეროვნული ცენტრისავტორიზაცია-აკრედიტაციის - ექსპერტი
2013-2017	სსიპ განათლებისხარისხისგანვითარების ეროვნულიცენტრი; პროფესიულ კვალიფიკაციათაგანვითარების ხელშეწყობის პროგრამა - ექსპერტი (ფასილიტატორი)

2007 -2011	არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ს ტ უ,
2006- დღემდე	ასოცირებულიპროფესორი, არქ, გეგმარებისსაფუძვლების კათედრა, საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი
2017-2018	არქ. ტრეინინგცენტრი - გენერალურიდირექტორი
2017-დღემდე	სრულიპროფესორი; კავკასიისტექნოლოგიების სკოლა,„არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრ; შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“;
2012-2013	არქიტექტორი; შპს.„მაკოტო“ არქიტექტურულიკომპანია;
2006-2008	არქიტექტორი,არქიტექტურულისაპროექტო“გოდაკო”
2004-2006	დოცენტი, არქ. გეგმარების საფუძვლების კათედრა, ს ტ უ
2003-2004	არქიტექტორი, არქიტექტურული ჯგუფი - შოთა რუსთაველის სახ. თეატრის რეკონსტრუქცია
1998-2004	დოცენტის მ. შ; არქ. გეგმარების საფუძვლების კათედრა, ს ტ უ
1991-1998	უფროსი მასწავლებელი, არქ. გეგმარების საფუძვლების კათედრა, ს ტ უ
1986-1991	ასისტენტი, არქ. გეგმარების საფუძვლების კათედრა, ს ტ უ
1983-1985	უფრ. მეცნიერ მუშაკი, საქ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის სამმართველო.
1980-1983	არქიტექტორი, სტუ-ის არქიტექტურის ფაკ. საპროექტობიურო

პერსონალური უნარები

საქმის სიყვარულიდა ერთგულება;პატიოსნება და კეთილსინდისიერება;სხვათა შრომის, მიღწევებისადა აზრისპატივისცემა;კომუნიკაბელურობა;ანალიტიკური აზროვნება; არაკონფლიკტურობა; დისციპლინურობა; ორგანიზებულობა;ხელმძღვანელობა, კოორდინირება და ადმინისტრირება;პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა; ვარ შედეგზე ორიენტირებული, ვაფასებინიციატივას, ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულგამოცდილებას;ვაცნობიერებ საკუთარ პასუხისმგებლობას; ჩემთვის მნიშვნელოვანიამუდმივიპროფესიულიზრდა და განვითარება;ვმუშაობ გუნდურად და ვიცავ კოლეგიალობას;

დონეები:A1-A2:ელემენტარულდონეზეგამოყენება;
B1-B2:დამოუკიდებლადგამოყენება:
C1-C2:კომპეტენტურიგამოყენება.

კომპიუტერულიუნარები

Windows,MS Office,Ms. Word,Ms. PowerPoint, გრაფიკულიპროგრამები PhotoShop,CorelDraw,ArchiCAD

+995 599 79 08 08

სამეცნიერო პუბლიკაციები
(ბოლო ათი წლის განმავლობაში**)**

- მაისურაძემარინედასხვ..... "არქიტექტორ-ტექნიკოსის სახელმძღვანელო",სტუდენტის სახელმძღვანელო; სსიპ-განათლების ხარისხისგანვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2015; http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmzgvanelo-arqiteqtor-teqnikosi.pdf
- მაისურაძე მარინე,ჭანტურია თამარი, კუპატაძე ია; "თანამედროვეარქიტექტურისკომპოზიციური თავისებურებები"საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი-2014 ;ISBN978-9941-2 495-1
- მეთოდურიმითითებები – ნ.თევზაძე, მ.მაისურაძე, თ.ჭანტურია „მეთოდური მითითებები არქიტექტურაში"(პროფესიულიუმაღლესიგანათლებისსწავლებისპროგრამითდაინტერესებული აბიტურიენტებისადა სტუდენტებისათვის);სტუ;თბილისი–2010

სამეცნიერო კონფერენციები და სტატიები

1. მ.მაისურაძე; ლ.ქესანაშვილი; ბუნებრივილანდშაფტის თანამედროვე ტრენდისფორმირების ზოგიერთისაკითხიქ. თბილისთან მიმართებაში. არქიტექტურისადა ქალაქთმშენებლობის თანამედროვეპრობლემები#12;ISSN2233-3266სტუ. არქიტექტურის,ურბანისტიკისადადიზაინის ფაკულტეტი, საგამომცემლოსახლი„ტექნიკურიუნივერსიტეტი"; თბილისი2018

2. მ.მაისურაძე; გ.ლოთიშვილი; ურბანული გამოწვევები, თბილისურირეალობა და პრობლემები. არქიტექტურისადა ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები#12 ;ISSN 2233-3266 სტუ. არქიტექტურის,ურბანისტიკისადადიზაინისფაკულტეტი,საგამომცემლოსახლი„ტექნიკური უნივერსიტეტი";თბილისი2018

3. მ.მაისურაძე;თ. აბაშიძე; ჰიბრიდულობა - თანამედროვე ქალაქის პრობლემა თუ პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გადაწყვეტა. არქიტექტურისადა ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები#12.; ISSN 2233-3266 სტუ.არქიტექტურის,ურბანისტიკისადადიზაინის ფაკულტეტი, საგამომცემლოსახლი„ტექნიკურიუნივერსიტეტი"; თბილისი2018

4. მ.მაისურაძე; გ.ლოთიშვილი; შენობა-ნაგებობის კოდექსი აშშ-ში და პარალელებისაქართველოს დედაქალაქის- თბილისისურბანულიპროცესებისგამოწვევებთან. ამერიკისშესწავლისსაკითხები#7; ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისგამომცემლობა;ISSN1512-1585; თბილისი2018

- «Another fact of destruction of monuments of cultural, historical and religious heritage in the village Tsebel (Abkhazia)."
  «Очередной факт разрушенний памятников культурно-исторического и религиозного наследия в се Цебельда(Абхазия)».
  Marine Maisuradze, Architecture PhD. professor of Architect, Urban Planning and Design Faculty, of GTU;International scientific-practice conference -«Protection of cultural heritage in armed conflict». 19.01.2017;The plenum of the Board of the Union of Architects of Azerbaijan

- "Architecture problems of recreation areas and tourist places in the mountainous region of eastern Georgia, Tusheti."
  Marine Maisuradze, Architecture PhD. professor of Architect, Urban Planning and Design Faculty, of GTU; International scientific-practice conference-,, Architecture and town-planning development of resorts, zones of recreation and tourist areas; 27-28 октября 2016 года г.Баку

- მ. მაისურაძე, ქ. ბერეკაშვილი, ,,ახალი მეგაპროექტების ფორმირების საკითხები ძველი თბილისის ისტორიულ ცენტრში"; სამეცნიერო კონფერენცია; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი №4; - არქიტექტურისადაქალაქთმშენებლობისთანამედროვეპრობლემები;სტუ.არქიტექტურის,

ურბანისტიკისადა დიზაინისფაკულტეტი; თბილისი,2015;

- მაისურაძე მარინე, - „მოქალაქის ყოფითი არეალი და თანამედროვეობა (ქ.თბილისის მაგალითზე)“;სტუ.არქიტექტურის,ურბანისტიკისადადიზაინისფაკულტეტი;სამეცნიერო კონფერენცია;სამეცნიერო-ტექნიკურიჟურნალი№3, ISSN2233-3266;-არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები
- მაისურაძე მარინე, "Skulptura in modern city of Tbilisi" ქ.ბაქოს რეგიონალური საერთაშორისო ფესტივალი, სამეცნიეროკონფერენცია; „Degree and Profession”2012წ.
- მაისურაძემარინე, ჭანტურიათამარი. “თანამედროვე თბილისისქალაქთგეგმარებითი განვითარების არქიტექტურულ-მხატვრულიმნიშვნელობა”. საერთაშორისოსამეცნიერო კონფერენცია; სტუ;“ქალი და XXIსაუკუნე“ შრომები; თბილისი; 2011წ.

ტრენინგები / სემინარები

- სსიპ განათლებისხარისხის განვითარების ეროვნულიცენტრი; პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროექტი (პროგრამა). 2013-14-15 წლები
- „სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების ზოგადი კურსი“ - აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ), სათემო კოლეჯები საერთაშორისო განვითარებისათვის ინქ. (აშშ) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულიგანვითარების ცენტრი. მარტი, 2009 წელი.
- “Workforce Education Initiative for Shida Kartli, 2d”, ”სამუშაო ძალის განათლების ინიციატივა ”შიდა ქართლი” (AID-6-2007-001-400-72) დონორი:USAID, პროექტის ხანგრძლივობა: იანვარი2009 - ივლისი
- “Higher Education for Development” “Education – Economic Catalyst”/ ”უმაღლესი განათლება განვითარებისათვის” ”განათლება - ეკონომიკისკატალიზატორი”, (783-Z) დონორი: CCID(აშშ) და CIDA(კანადა), პროექტის ხანგრძლივობა: ოქტომბერი2006 - ოქტომბერი2008
- 2007 certificate for completion of the Teacher Training program II in Assessment and Program Accreditation (Iowa State University,Ames, USA and The Georgian Technical University, Tbilisi)
- 2006 certificate for completion of the Teacher Training Program(Community Colleges for International Development,Inc. and The Georgian Technical University, Tbilisi)

წევრობა (აკადემიური/სამეცნიერო საბჭოები, სამეცნიერო ჟურნალები და სხვ.)

- საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისწარმომადგენლობითისაბჭოსწევრი
  - საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინისფაკულტეტისაკადემიური საბჭოსწევრი
  - საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინისფაკულტეტისსადისერტაციო საბჭოსწევრი
  - საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ეთიკისკომისიისწევრი
  - საქართველოს არქიტექტორთაკავშირისწევრი
  - საქართველოს არქიტექტორთაასოციაციის წევრი
  - საქართველოსარქიტექტორქალთაასოციაციისწევრი

დამატებითიინფორმაცია

კვლევები

1. ქ.თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. #47-შიმდებარე შენობისადა მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულ-ისტორიულიდა არქიტექტურულთავისებურებათაზოგადი კვლევა-ანალიზიდა შეფასება.2010
2. ქ.თბილისში,დიმიტრი ყიფიანის ქ. #29-შიმდებარე შენობისადა მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულ-ისტორიულიდა არქიტექტურულთავისებურებათაზოგადი კვლევა-ანალიზიდა შეფასება.2009
3. ქ.თბილისში,(დიდუბე-ჩუღურეთისრაიონი)ფოცხვერაშვილისდა ფიროსმანისქუჩებისგადაკვეთაზე სავაჭროობიექტისმშენებლობისათვისგამოყოფილდა მიმდებარეტერიტორიის მხატვრულ-ისტორიულიდა

არქიტექტურულიკვლევა.2008

განხორციელებული არქიტექტურული, დიზაინერული და ქალაქთგეგმარებითი პროექტები

ექსპერტიზები:

1. ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის დრამატული თეატრი - პროექტის არქიტექტურული ნაწილისექსპერტი/არქიტექტორი /ნორმატიულ-ტექნიკურიდოკუმენტაციისინსპექტირება/41 დადგენილებით2018წ

2. შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდისდრამატული თეატრი- პროექტის არქიტექტურული ნაწილისექსპერტი/არქიტექტორი /ნორმატიულ-ტექნიკურიდოკუმენტაციისინსპექტირება/2018წ

3. პეტრო ადამიანის სახელობისსომხური დრამატული თეატრი ქ.თბილისი- პროექტის არქიტექტურულინაწილისექსპერტი-არქიტექტორი /ნორმატიულ-ტექნიკურიდოკუმენტაციის ინსპექტირება/41 დადგენილებით 2018წ

4. ქუთაისისსარაგბობაზა- პროექტისარქიტექტურულინაწილისექსპერტი-არქიტექტორი /ნორმატიულ-ტექნიკურიდოკუმენტაციის ინსპექტირება41 დადგენილებით/ 2018წ

პროექტები:

6. ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კეკელიძის ქ. #38(ნაკვეთი#054/097) მოქ.ვ.ჩიხრაძია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი; ავტორები:მ.გუჯაბიძე; გ.კობიაშვილი; მ.მაისურაძე.2012წ.
7. ქ.თბილისი.დიდგორის რაიონი,სოფ. წავკისი(ნაკვეთი#599) დახურულისაცურაო აუზის პროექტი დამკვეთი- ი.გურჩიანი; ავტორები:მ.გუჯაბიძე;გ.კობიაშვილი; მ.მაისურაძე.2012წ.
8. ქ.თბლისის უ.ჩხეიძისქ.#17 და დ.უზნაძის ქ.#58-ში მდებარემრავალფუნქციურისაავადმყოფოს პროექტი;თბილისი2012.წ. ავტორები:დ.ჩიქოვანი, გ.ბერიძე,მ.მაისურაძე...
9. აშშ-ის პრეზიდენტის - რონალდ რეიგანის ძეგლი ქ. თბილისში; მოქანდაკე:ა.მონასელიძე; არქიტექტორი:მ.მაისურაძე;2011წ.
10. მრავალპროფილიანისავაჭროკომპლექსი“ქალაქის გული”, ცაბაძისქ.#8 ქ.თბილისშისამშენებლო ფართი61.800კვ.მ. ავტორები:ბ.ბერიშვილი,მ.მაისურაძე;2009-10წ.;
11. სავაჭრო-კომერციულიცენტრი“ილორი-2000”ცაბაძის ქ. #8. თბილისშისამშ.ფართი 3500 კვ.მ.2009წ.;.
12. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ნაფარეულის ქ.#5 ქ.თბილისშისამშენებლო ფართი 2800კვ.მ.2008წ.;
13. შოთარუსთაველისთეატრისრეკონსტრუქციისპროექტი.დარბაზისაქმიანიდა საზეიმო მიღებებისთვის;შოთა რუსთაველის თეატრის მიშენების პროექტი;რობერტ სტურუას სტუდია-სახელოსნო..ავტორები:ო.ნახუცრიშვილი;მ. მაისურაძე. 2003-04.წ.;
14. საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში,ავტორი:მ.მაისურაძე;2003წ..;
15. საცხოვრებელისახლი სოფ. წყლულეთში, ავტორი: მ.მაისურაძე;2000წ..



ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Г-I № 174818



GEORGIA

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

PhD

DIPLOMA

DO № 000011

decision N 9 July 3, 2009

the Dissertation Board of the Faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Ms. Marine Maisuradze

is awarded PhD Degree in

Architecture

Registration № 00011

21 12 2009

საქართველო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დოქტორის დიპლომი

DO № 000011

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2009 წლის 3 ივლისის

№ 9 გადაწყვეტილებით

მარინე მაისურაძეს

მიენიჭა არქიტექტურის

დოქტორის აკადემიური ხარისხი.

Rector

Dean

Registrar





დოცენტის სერტიფიკატი

№ 001235

CERTIFICATE OF A DOCENT

№ 001235

Tbilisi State Academy of Fine Arts

By decision of the Professors' Board (Protocol № 2 of 20 10 2004,)

the scientific-pedagogical title of the Docent by specialization of Building Architecture

WAS CONFERRED ON

Marine Maisuradze

(Seal)

Chairman of the Board of Professors

Chairman of the Board of Academic Experts

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

7/2

№ 286615 10.07.2013 წ.

ცნობა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ადასტურებს, რომ მარინა მაისურაძეს გააჩნია აკრედიტაციის ექსპერტის მოქმედი სტატუსი ცენტრის დირექტორის 2011 წლის 31 აგვისტოს № 687 ბრძანებით.

ადმინისტრაციის(სამსახური)უფროსი გიორგი მიქაძე

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ.N1, ტელეფონი:(+995 32) 2 200220(3548); (+995 32) 2 200220(3643) ; www.eqe.ge; info@eqe.ge

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სერტიფიკატი

გადაეცა

მარინე მაისურაძეს

პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში
„არქიტექტორ-ტექნიკოსის" სახელმძღვანელოს შექმნისათვის

თამარ მახარაშვილი
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
მოადგილე

თბილისი
2015

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სერტიფიკატი

გადაეცა

მარინე მაისურაძეს

პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში
„არქიტექტორ-ტექნიკოსის" სახელმძღვანელოს შექმნისათვის

თამარ მახარაშვილი
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
მოადგილე

თბილისი
2015